

ოთარ ჩხეიძის ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ
(„თეთრი დათვი“ და „ბერმუდის სამკუთხედი“)
ABOUT SOME FEATURES OF OTAR CHKHEIDZE'S LANGUAGE ("WHITE
BEAR" AND "BERMUDA TRIANGLE")

ეკა ხანიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ
ევროპის უნივერსიტეტი*Eka Khanishvili*

Sokhumi State University, East European University

 <https://orcid.org/0009-0001-9116-6043>**საკვანძო სიტყვები:** ენა, სტილისტიკა, შედარება, ფრაზეოლოგიზმი, აფორიზმი.**Keywords:** language, stylistics, comparison, phraseology, aphorism

ABSTRACT

Language is the most essential sign of the nation's identity. Language is created by people, written language — writing, monuments of written language leave traces of language in history.

A perfect ideological-artistic analysis of a literary work can be talked about only when the form in which the writer conveys his message is studied, e.g. If the language is also studied. The present work discusses some linguistic and stylistic features of the novels „White Bear“ and „Bermuda Triangle“, in particular, attention is focused on the function of phraseology, paramian expressions or aphorisms; On the variety of proverbs, the frequency of use of noun verbs and the stylistic purpose of comparison.

Researching the writer's language and style has always attracted the interest of the writers. The linguistic position of this or that creator is determined by his attitude towards his native language and dialects, and of course, it means showing how the writer's theoretical views merge with the language embodied in creativity, for what purpose he uses lexical, phraseological or purely linguistic resources. Folk, colloquial language, proverbs, parables Phraseologisms can have a strong impact on the reader, especially they are often used in subtexts.

We will focus on phraseology, the special abilities of speech that make up linguistic formulas. In the writings of Otar Chkheidze, we can find: phraseology, which are widespread and reflected in existing dictionaries (a stone was stuck in the head, a ruler in the stomach, it broke the heart, the tongue was lost, the frog was cut off, a stone was thrown with its tail, a swamp was thrown on its tongue...). Expressions that are not verified in the dictionaries at our disposal: (Alchuze Uzit, let them drink the way, Kuku was holding, he reached the ceiling (he paved the way, his head was empty, his tongue is breaking...)).

მწერლის „რომანების სერიაში უკეთ, ვიდრე რომელიმე სხვა თანამედროვე მწერლის წიგნებში, მოცემულია თითქმის მეოცე საუკუნის საქართველოს ცხოვრების რთული და საინტერესო სურათი. ესაა ერთი ვრცელი მეტაფორა და ყველაზე საგულისხმო აქ ისაა, რომ ეს მეტაფორა ორმაგადაა დაშიფრული. ეს მეორე შიფრი მწერლის ენაა“ (ზვიადაძე, 2023, გვ. 9).

ოთარ ჩხეიძის რომანებში, რომლებიც შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მიუხედავად თითოეულის კონკრეტული სათაურისა: „თეთრი დათვი“, არტისტული გადართილება“, „ბერმუდის სამკუთხედი“ და სხვა - მწერალმა მიზანმიმართულად ქვეყნისა და საზოგადოების გასაფრთხილებლად, საგანგებო ხაზგასმით გამოყო უმთავრესი დილემური პრობლემები, რომელთა მიმართ ქართული სახელმწიფო განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა ყოფილიყო“ (დვალიშვილი, 2017, გვ. 159).

ოთარ ჩხეიძის ენობრივი სტილის ერთ -ერთ გამოხატულებად აშკარად იკვეთება ანდაზის არასტანდარტული გამოყენება ტექსტისათვის მეტი ექსპრესიულობისა და დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით. ანდაზა ორიგინალურად ერწყმის კონტექსტს და მის შიგნით ქმნის საკუთარ კონტექსტურ მნიშვნელობას.

მწერალი განსხვავებულ ფორმებსაც გვთავაზობს, რომლებშიაც შეცვლილია საყრდენი სიტყვა ან რომელიმე შემადგენელი კომპონენტი. მწერალი ზედმიწევნით კარგად იცნობს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, მსჯელობისათვის იყენებს მათ და კონტექსტის მიხედვით თავადაც ცვლის კიდევ.

ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შედარებითი, თვისობრივი, აღწერითი. კვლევის წარმოებისას

მივმართეთ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს და ანდაზებს, რომლებიც შევუჯერეთ არსებულ ლექსიკონებს, ამ შედარების საშუალებით ნათლად წარმოჩნდა ლექსიკონებში არსებული ფრაზეოლოგიზმებისა და ანდაზების მსგავსება-განსხვავებები.

გამოვიყენეთ ლექსიკონები: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., ტ. I 1950. ტ. VIII. 1964 (შემდეგ: ქეგლ); ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი; ა. ონიანი, ქართული იდიომები; თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი; <https://idioms.tsu.ge/>) და სხვ.

შედევები და მსჯელობა. ოთარ ჩხეიძის ნაწერებში თითქმის არაფერია ისეთი, რომელიც ცოცხალ მეტყველებაში არ გვხვდებოდეს და მწერლობას არ გამოეყენებინოს, მაგრამ ის განსაკუთრებულია იმით, რომ ნამდვილია, ქართულად ნამდვილი, სისხლით, ხორციით, გვარ-ჯილაგით, სულამონვდენით, ყველა დროში გამოვლილ-გამოწვრილი სიტყვით, მშობლიურობით, კალმახი ენით...

მწერალი ყოველივე სტანდარტულისაგან გამიჯნა სათქმელის თავისებურმა გამოხატვამ და სტილურმა ექსპერიმენტებმა. შეიქმნა საოცრად განსხვავებული და კეთილხმოვანი სტილი, რომელიც ერთ მიზანს ემსახურება - სრულად გამოვლინდეს ენის პოტენციალი.

მწერალი მიმართავს ორიგინალურ შედარებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მხედველობით აღქმას. მათი საშუალებით ხაზი ესმება საგნის ან მოვლენის რომელიმე თვისებას:

თბილისი მოსთქვამს: ინფორმაციული ომი წავაგეთ აფსუბთანაო და ოსებთანაო. ჰა, ჰა, ჰა და აუარებელი: ჰა ჰა ჰა ჰა. თბილისი მოსთქვამს და თბილისელები ცვივიან ფსოუსთანა, **ზღვას მიმდგარი მწყერებივითა ცვივიან სექტემბრის თვეში**“ (ჩხეიძე, 1999: 38);

კაზაკები ითქვას: **მოთამაშებენ, მოცეკვავენ, ჰლადრავენ ყელსა დაცვნილთა, ჩაუბრუნებენ ენასა, ამოჰფენენ ჰალსტუხივითა.** ამოჰფენენ. მოსდევენ აფსუები, ვითომ აფხაზებიო, იგივესა სჩადიან, ვერცა სჩადიან, ხელები ებლანდებათ თითქოსაო“ (ჩხეიძე, 1999: 39);

გაფრენილიყვნენ წეროებივითა კისერწანვდილნი, ასწრაფებულნი, ემანდ სხვებმა არ მიგვასწრონო - **წეროებივითა თუ გედებივითა?... უმჯობესია გედებივითაო, თეთრი, თეთრი გედებივითა**“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 56);

ცალკე აღადგენდნენ. **ეფერებოდნენ მუზეუმებივითა.** ეცნობოდა. ბევრი ქალაქი შემოევლო. დაეხედა რო ზემოდანაცა, შიგაც ეტრიალა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 5);

რიყეს რო ეყარნენ. პირი რო **დაეღოთ ჭიჭყინებივითა.** დასავლეთისანი გაუბოდნენ იმათა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 10);

გატაცებულყო, ანთებულყო, **ვარვარებდა ღუმელებივითა** რუსთავისა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 12);

იმას რო დაადგა; თავსეველო, **ვითარცა მზეი, ნა-**

მდვილიო; დაადგა, დაეფინა, შეეხო, შემოეხვია ისა, იგი“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 42);

ცრემლი გაშრობოდა მანანასა. **ქვასავით დაეცა. ქვასავით იგორა.** ანთუ სიცილიო?! ანთუ სიმწარეო?! ქვებს თუ დაეჯახა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 70);

ამ რომანებშიც, როგორც სხვაგან, თვალსაჩინოება მიღწეულია განსაზღვრებითი და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებებითაც, ასევე მთავართან როგორც“ კავშირით შეერთებული დამოკიდებული წინადადებათა მეშვეობით:

შემოდგომამ რო იცის პატარა გაზაფხული, **ცრუ გაზაფხული, ტყემლის ყვავილს რო გამოიტიყუებს.** იცი. იცის. ბუნებამ იცის. ქალიც ბუნებაა“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 248);

ელოდეთო, - იკიჟინე რამდენიც გენებოს. ელოდებიან. იწენებიან. ქალები ჰო, - ქორიანი მამაკაცებიცაა. **პრიალებს მელოტი. კრიალებს მელოტი განწილ თმებშია. ამოაშუქებს თითქოსაო**“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 423);

ამობურცულან დეკანი ფერდობებზედა, ღვინიცა, ამოჩითულან, ამოჩითულან: **თითქოს რო მართლაც ჩიტებია ყვავილწარმო: ამოჩითულან. ამოჩითულან**“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 441);

მაინც არ დადრკება. მიხტის **თითქოს რო ქურციკივითაო.** თითქოსაო რაღა თქმა უნდა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 46);

უწივის. აიჭრება. ლამის დააცხრეს. ხელებიც ისე აქვს, თითებიც ისე, **თითქოს რო დააცხრა** და სისხლი ჩამოსდისო“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 146);

სხმარტალებდეს, ყირას გადადიოდეს, ჭიჭყინებია თითქოსაო, თუნდაც მორევში, მთის მორევში, ანკარა მორევში, თუნდაც რო აქვე, აქვარიუმშიო, - დაიბრანება უკეთესადა, ჩახრამუნდება უკეთესადაო“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 130);

რომანში გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლითაც მდიდარია ოთარ ჩხეიძის ენა.

მწერალი ფრაზეოლოგიური გამოთქმების საშუალებით ახდენს საგნის ან მოვლენის ხატოვან დახასიათებას, ხასიათის გადმოცემას. მწერალი დიდი ოსტატობით იყენებს ხატოვან გამოთქმებს გმირთა განცდებისა თუ შეხედულებების, შინაგანი სამყაროს დასახატად. სტილიზაცია იძლევა ამ შემთხვევაში უდიდეს მხატვრულ ეფექტს, გვანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას.

მრავალფეროვანია იდიომატური გამოთქმები, რომელთა საყრდენი ლექსიკური ერთეული არის გული“:

გულზე ხელის დაკრეფა - უსაქმოდ ყოფნა, უმოქმედობა, სიზარმაცე (ქეგლ, თ. სახოკია, ალ. ნეიმანი, ალ. ონიანი, <https://idioms.tsu.ge/?p=3219>); გაეროს ეს ერჩივნა, მშვიდობა ერჩივნა დედამიწის ზურგზედა. გულზე ხელს დაიკრეფდა და იქნებოდა განცხრომითა. ვითომ რო ახლა დასდგომოდეს ჯაფაი დიდი“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 358);

გულთან ახლოს მიტანა (რისამე) - განცდა (რისამე), თანაგრძნობის განცდა, გულთბილად მოკიდება (ალ. ონიანი, <https://idioms.tsu.ge/?p=3229>); გაიფიქრა

ისე, გულთან რო არ მიუტანია მაინცდამაინცა. პარლამენტმა საკითხი გადადო. უცხოური ინვესტიციების საკითხი“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 105);

გული მიუვა — მოეწონება: ცოტა ცოტათ და მაინც ისე, გული რო აღარ მიუვა თავმოყვარე კაცსა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 332);

გულის მოგება — მიმხრობა, გადაბირება; თავის სასარგებლოდ განწყობა; ვისიმე სიყვარულის, ყურადღების ან პატივისცემის დამსახურება, თავის შეყვარება(თ. სახოკია, ალ. ნეიმანი, ალ.ონიანი, <https://idioms.tsu.ge/?p=3578>): თურქეთში ჰყიდოდა დენსა. გზა უნდოდა. გზაც უნდოდა. და. გულსაც მოიგებდა გაჭირვებული ხალხისა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 400);

გულის მოოხება — გულის მოჭერება; დარდის, მწუხრების გაქარვება(ქეგლ, ალ. ნეიმანი, ალ.ონიანი): ესაა, ეს მანანელები, ლეილელები, ლტოლვილები. მასწავლებლები, ექიმები, პენსიონერები. ყელი მოიქავლონ. გული მოიოხონ“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 65);

გულის მოჭერება — რაიმე მოთხოვნილების, სურვილის დაკმაყოფილება, გულის მოოხება (ქეგლ, ალ.ონიანი): ელოდა თუ როდის გახდებოდნენ სასაცილონი რო: ეცინა, ეცინა, მოეჭერებინა გული“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 337);

გული ყელში მობჯენა — გაბრაზება, გაჯავრება, სულის შეხუთვა(ბრაზისგან, ჯავრისგან), გულზე ცეცხლის მოკიდება (ქეგლ, თ. სახოკია, ალ.ონიანი): იქაობა ინვოდა. გული ყელში მობჯენოდათ ლტოლვილებსა. მობჯენოდათ. იხრჩობოდნენ. იდგნენ გაეროს რუსები“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 160);

გულს ასკდება — ბოღმა, ბრაზი ახრჩობს, გულზე სკდება(ქეგლ, ალ.ონიანი): შორიახლოს მაინც მიბედა პოლიციის უფროსმა. შორიახლოსა. ჩაახველა და გამობრუნდა. გამობრუნდა. ბრუნავდა. ასკდებოდა გულსა“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 210).

ასევე გვაქვს იდიომატური გამოთქმა, რომელთა საყრდენი სიტყვა არის თავი“:

თავზე დადგომა — ვინმესთან ყოფნა და ყურადღების მიქცევა, მოვლა, კონტროლის განწევა(ალ.ონიანი, <http://idioms.tsu.ge/?p=4198>): უკანასკნელ დღეშია ქალბატონი დუდაო. ჩაუსწრებს. გიზოი. თავს დაადგება სწორედ რო უკანასკნელ წუთსა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 447);

თავის ამოჰყოფა (სადმე) — უცებ (სადმე) მოხვედრა, უცებ(სადმე) მისვლა(ალ.ონიანი, <http://idioms.tsu.ge/?p=4255>): და კორუფციაში რო ამოჰყო თავი. კორუფციიდან კორუფციაში. კონტრაბანდიდან კონტრაბანდაში“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 175);

თავის გამოდება — მონდომება, თავგამოდებით, გულმოდგინედ ზრუნვა; თავგანწირვა, თავის გადადება, ყოველი ღონის ხმარება (ქეგლ, თ. სახოკია, ალ. ნეიმანი, ალ.ონიანი, <http://idioms.tsu.ge/?p=4277>): ესეც შენი: გასაღები თბილისშიაო. თავს გამოიდება ნადარეიშვილი. მე ვამბობდი თბილისშიაო. ამბობდა. ჯერ ჰო შენევაში ეგულებოდათ“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 240);

თავის გატანა — გაძლება (გაჭირვებისას, გა-

ნსაცდელისას); თავის დარჩენა, თავის გამოტანა (ქეგლ, თ. სახოკია, ალ. ნეიმანი, ალ.ონიანი, <http://idioms.tsu.ge/?p=4285>) : ქვეყანა დიდია. სადმე გაიტანდა თავსა. არ ჩაიყლაპებოდა არსადა იმისი ფხის პატრონი. არ ჩაიყლაპებოდა. არა. არა. აი ისევ ირყევა კარი“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 413);

თავის დაღწევა — თავის დახსნა, გადარჩენა, განთავისუფლება, თავიდან აცდენა (ალ. ნეიმანი, ალ.ონიანი, <http://idioms.tsu.ge/?p=4285>): ვერ დააღწიეს თავი ადვილადა. ერთი აქედან ჩაეჭიდა, მეორე იქიდანა. სოფიკოსა. სხვებსაც გაეშვირათ ხელები: ჩვენც უნდა ჩავავლოთ“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 164);

თავის დახრა — დაჩაგვრა, დამცირება, გაჭირვება, დამონება, დაღონება; დამორჩილება, ქედის მოხრა (თ. სახოკია, <http://idioms.tsu.ge/?p=4316>): გიზო უმტკიცებს. ვერ დაუჭერებია სოფიკოსა. ვგონებ: რო არც უსმენს. დაუხრის თავი. თვალიც დაუხრია. ქუჩაა. ფეხები ირევა. იხლართება ერთმანეთშია“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 326);

თავის მოყრა — შეგროვება, ერთად შეკრება(-ქეგლ, ალ. ნეიმანი, ალ.ონიანი, <http://idioms.tsu.ge/?p=4311>): ხოლო იქაო — პარლამენტშიო — რეგისტრაცია რო გაიარეს და როგორც რო იქნა თავი მოუყარეს ქვორუმსა, კენჭი რო უნდა ეყარათ დაახლოებით“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 96);

თავისქება კიტრადა ჰღირსო — თავისქება კიტრადა ჰღირსო. გაუუსაღოთო. გაუსაღეთ. ლუდი გერმანიიდანა და ჩეხეთიდან შემოიტანეთ. ჩვენი მეგობარი ქვეყნებიო“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 168);

თავი ქვას ახალოს — ყოველი ღონე იხმაროს, თავი გამოიდოს; რაც უნდა, ისა ქნას(ქეგლ, <http://idioms.tsu.ge/?p=4241>):

საცოდავი ხალხი!.. უსმინოს. ამათაც თავი ქვას ახალონ. დრო იცდის განა, როდის თუ რა კანონს ჩამოაყალიბებენ?..“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 277);

ოთარ ჩხეიძეს შეუკრებია ანდაზები თუ აფორიზმები, იდიომები თუ სხვა ხატოვანი სიტყვა—თქმანი და როგორც ამბობს, რომ : მე ანდაზების უნივერსიტეტს გავხსნიდი... აკადემიასაც ანდაზებისას გავხსნიდი... ანდაზების მეტს არც არაფერს ვასწავლიდი — ანდაზები სიბრძნეა ცხოვრებისა. აკადემიასაც ანდაზებისას გავხსნიდი, რო მეცალოს, იმისი არ იყოს: დედაბერმა თქვაო, — იმდენი ვერ მოვიცალე , რომ მოვკვდეო“ (კაკაჩია, 2021, გვ. 90).

დესპანი: თქვენ გინდათ თქვით რო: **მკვდარი მკვდარს აეკიდაო?..**“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 338);

ტყუილად უთქვამთ: **ზარბაზნები რო ჰქუხს, მუზები დუმანო**“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 346);

უხრიკავი გავიხადე სახრიკავადაო. ანდაზაა (ჩხეიძე, 1999, გვ. 352);

მახეს ველარ გადაურჩება საქათმეში შეჩვეული მელაო, — მეანდაზეობს პანტელეიმონი“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 383);

ცდა ბედის მონახევრეაო“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 419);

ნააქებზე და კლდეზე მიუშვით, თუნდ ზღვას მიეცი ქარიშხალიანსაო“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 422).

მუხამა თქვაო: ცული მე ვერაფერს ვერ დამაკლებდა, შიგ ჩემი ჯიში რო არ იყოს გაყრილიო“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 3);

სანამ პეტრე მოვიდოდა პავლეს ტყავი გააძრესო. საცოდავი პავლე, საცოდავი, — პეტრესაც ასე უნდოდა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 7);

ეს უნდა მოვასწრო. **აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო** — ვითომ სიდინჯით რომ მოეჭამოს ვინმესა!... ეს უნდა მოვასწრო“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 16);

კაცი უნდა ხერხი იყოსო, ასე იწყებდა, **გაპქონდეს და გამოპქონდესო.** და მერე: **განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდესო,** — მერელა უკვირდა“ (ჩხეიძე, 2001: 20);

გადადებული საქმეი ნახევრად ჩაშლილიაო. ამბობდნენ. გადადებული საქმე, იცოდე ჩაშლილიაო“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 29);

ნიშანს მოუგებდა კეთილისმყოფელი: **დღევანდელი კვერცხიცაო და ქათამიცა ხვალინდელიო.** იცვლებოდა რო ყველაფერი, იცვლებოდა ანდაბებიცა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 31);

ძვალრბილში გასჯდომიათ. ველარც გაამტყუნებ. **მგელი არ მოშლის მგლობასაო.** დაახევინებდნენ“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 82);

ავი შვილი მამასაო გზაზე უთხრის საფლავსაო. მთხრელიც ბევრი იყო. დამხვრეტავებიცა“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 117);

რახან მოინდომეს, არც დაიშლიდნენ. უნდა ნასულიყო. **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო.** ვნახოთ თუ სჯობიანო“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 131);

სოფიკოც ასევეო: ბევრად ნაკლებად არ იქცეოდა. იქვე. **სადაც მოჰხვდები, იქაური ქუდი დაიხურეო**“ (ჩხეიძე, 2001, გვ. 162);

მკვეთრად გამოხატული ფუნქციით აღიჭურვება რომანში მეტსახელები, რომელიც საოცარი გამომსახველობითი უნარით გამოირჩევა. ოთარ ჩხეიძეს შეუკრებია მეტსახელები, რომელთა შერქმევისაა გონებამახვილობასა და შემოქმედებას უსაზღვრო ასპარეზზე ეძლევა. მეტსახელის საშუალებით სინამდვილე ხასიათდება ბუნებრივად, აღწერა ხდება სხარტად, ლაკონურად, ხაზი ესმება გარეგნულ პორტრეტს, ხასიათის გამომჟღავნებულ ქცევას, მოქმედებას... ჩანს საზოგადოების დამოკიდებულება პიროვნებისადმი. მეტსახელთა გამოყენებას პერსონაჟთა სახელებად, ნაწარმოების სათაურებად თავისი ტრადიცია აქვს. როსტომ ჩხეიძე, თავად მოხიბლული მეტსახელთა მრავალფეროვნებითა და ფერადოვნებით, ხელისგულზე გვიშლის ენის წიაღიდან ამოღებულ, მწერალთა ნაწერებში გაბნეულ თუ მეცნიერთა ნაშრომებში დადასტურებულ ფორმებს და რაც მთავარია, იმ მეტსახელებს გვაცნობს, ასე რუდუნებით რომ შეუგროვებიათ ოთარ ჩხეიძის თხოვნით ლიახვის ხეობაში. საოცარი რამაა მეტსახელი! მთელი სამყაროა, თუ ჩაუკვირდები. შინაარსობრივ მხარეზე მეტად ეფვემურ მხარეს ექცევა ყურადღება და პოეზიაშიც ჩაწნულია

თავისი ხატოვნებითა და მეტაფორებით, თორემ იუმორი ხომ ანათებს და აცისკროვნებს!“

მეტსახელთა ადგილის უფრო მეტად გამოკვეთა ესურვილება მწერალს და როცა ალ. ღლონტის ქართველური საკუთარი სახელების“ შესახებ მსჯელობს, ეს კეთილშობილური სურვილიც ხმიანდება: ეგებ სჯობდა, გამოცალკევებულიყო ეს ნაწილი, როგორც სრულყოფილი მოვლენა - თან საკუთარ სახელთა განუყოფელი ნაწილი და თან დამოუკიდებელი... საგულისხმო იქნებოდა მათი გამოკრება ლექსიკონიდან და ცალკე სიტყვიერად დალაგება“(ზვიადაძე, 2023, გვ. 89)

დაეხსენით ვასილ პავლოვიჩსაო, - **ქლიკო** გაჰკიოდა, — ის დროა, იმის მზეს რო ვფიცულობდეთო“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 264);

რის მზესაო, რა მზესაო, - იფურთხებოდა **ანგალოი** - მზე სად არის, მთვარე სად არის, ან ვარსკვლავები სადღა დაგინახიაო“(ჩხეიძე, 1999, გვ. 264);

ჭაჭა და ჯონჯოლი, — შესჭიხვინებდა **ჩაქაფოი**, - რუსი პოეტებიც არ გადაირივნენ(ჩხეიძე, 1999, გვ. 265).

ნიაზი!..“ **წლიკო** ისევ იქ იყო: რო არ გეგონა, ამოჩნდებოდა ლანდივითა, აი, ჰაა, აი, აი!“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 265);

ნახეთ!..“ უხმობდა **ჯმუხოი** თანაკურსელებსა, რალაც ნუმპეში ჩავკარი მუხლები..“ ხელებით გაეფურთხა. ამოსვროდა ხელებიცა“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 269);

ხუთიათასი!..“ **ბოხოხა** ასწევს მარჯვენა ტორსა, გაფარჩხავს თითებსა. ასწევს მკვირცხლად, გაფარჩხავს სხარტად“(ჩხეიძე, 1999, გვ. 328);

დანა!... ხიხიხიხი...“ **ჭირკვაცა** ხითხითებს ლალადა, თამამადა, დაუეჭვებლად“(ჩხეიძე, 1999, 330);

გამომსახველობითი ძალისაა ნასახელარი ზმნები, რომლებიც ზედმიწევნით ზუსტად წარმოაჩენენ სათქმელის მრავალ ნიუანს. სახელისა და საერთოდ, არაზმნური ძირებისაგან ზმნური ფორმების შექმნა ქართული სიტყვათწარმოების ნიშანდობლივი თვისებაა. სიტყვათწარმოება, აფიქსების მეშვეობით სახელისა და, ზოგადად, არაზმნური ძირებისაგან ახალ ზმნათა წარმოება ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა. ნასახელარი ზმნით სათქმელი ეკონომიურად, ლაკონურად და ექსპრესიულად გადმოიცა. ნასახელარი ზმნის ფუძედ მოიაზრება ყოველგვარი სახელი და სახელზმნა. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სპეციფიკური ყალიბები ზმნურ სიტყვათწარმოებას არა აქვს და თუ ამ ყალიბების გამოყოფა მაინც არის შესაძლებელი, მას სემანტიკური დიფერენციაცია უდევს საფუძვლად(ბ. ჯორბენაძე). რაიმე ამკრძალავი წესი ნასახელარ ზმნათა წარმოებისა არ არსებობს, თუმცა ზოგჯერ მაინც ირჩევა გარკვეული ყალიბი(და არა ნებისმიერი), რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოყენებული (გ. გოგოლაშვილი). მაზმანავებელ ელემენტებად გვევლინება პირის

ნიშნები, ზმნისწინები, მწკრივთა მანარმოებლები, თემისა თუ ქცევის ნიშნები. ნასახელარ ზმნათა ასპარეზი ფართოვდება მხატვრულ ნაწარმოებში. ოთარ ჩხეიძე რომ დიდებულად ფლობს ქართული ენის როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ მასალას, გაზმნავებულ სახელთა საშუალებითაც ხდება საცნაური. რომანში წარმოდგენილი ნასახელი ზმნები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მწერალი ნასახელარ ზმნათა საწარმოებლად იყენებს როგორც მარტივ ფუძეს, ასევე -რთულს(ზვიადაძე, 2023, გვ. 51).

ველარც რო შენს თავს ველარ გაარჩევ ველარა-ვისგანა , თუ სამშობლოდან **აიქარებო**“

(ჩხეიძე, 1999, გვ. 64);

შემოჰხვევიან. ჰალსტუხს უწონებენ. ისიც თავს იწონებს. **ამოფოჩავს**. ათამაშებს ხელის გულზედა“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 135);

არ ვიცი მეთქი. ჭკუა არ დაჰკარგა!.. **გაქარხლდა**. თმა აეყარა, აეფშკა, ქანქარებდა, დაეცემოდა და აეყრებოდა“ (ჩხეიძე, 1999: 151);

კარს დასცხო მუშტი. **მოიგულისჭირა**. მერე მანქანას მიუჯდება. ქეთევანს გაიყოლებს“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 155);

ხან მიიკარგებიან თვალთაგანა ქეთევანისა, **მიბურუსდებიან**, ხან მოვლენ ახლოსა, ისე ახლოსა, როგორც რო არიან, მოსჩანან ისე, რანიც არიან“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 166);

სიტყვას ვერ მოუჭრის. **წამოქოჩრილან** ნავისკარები, წამობრანულან. სჯობიან გაასწროს“ (ჩხეიძე, 1999, გვ.195);

იცინოდა, **ანეგდოტობდა**, იმუქრებოდა თანაცა: კრიმინალები ველარ გაიხარებენ ქალაქშიო“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 209);

ზიზია. **გამოქალიშვილებულა** ხელახლადა. შემოდგომამ რო იცის პატარა გაზაფხული“ (ჩხეიძე, 1999, გვ. 247);

მწერლის შემოქმედებაში მრავლადაა ნასახელარი ზმნები, რომლითაც მის ნაწერებს სხვა ელფერი ეძლევა.

დასკვნა

ოთარ ჩხეიძე მშობლიური ენის უბადლო მცოდნეა. მწერალი თავისი ნაწარმოებებით ცოდნას გადასცემს მკითხველს, ცოდნას სიტყვის ძალის, შესაძლებლობის შესახებ. როგორც თავად ამბობს: მე ჩემი მოვალეობა დამკისრებია, ავდევნებივარ, ავყოლილვარ ერთგულადა და, როცა იქნება, ვინმე მაინც გამიხდება მადლობელი და ... ილოცებს ჩემთვისა“...

ლიტერატურა

დვალისვილი, ლ. (2017). ტრაგიზმი ორი ათასწლეულის გასაყარზე (ტრაგიზმი ოთარ ჩხეიძის რომანის 2001 წელი“ მიხედვით). ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი მე-4 სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი: გამომცემლობა: ჩვენი მწერლობა“.

ზვიადაძე, თ.(2023). მწერლის ენობრივ - შემოქმედებითი სამყარო. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი“.

კაკაჩია, მ. (2021). მწერალი და იდეოლოგია (ოთარ ჩხეიძის რომანის თეორი დათვი“ ენობრივ თავისებურებათა მაგალითზე): ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი: გამომცემლობა: ჩვენი მწერლობა“.

ნეიმანი, ალ (1978) ნეიმანი. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბილისი. გამომცემლობა: განათლება“.

ონიანი, ალ. (1966). ქართული იდიომები. თბილისი. გამომცემლობა: ნაკადული“.

სახოკია, თ. (1979) ,ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი. გამომცემლობა: მერანი“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., ტ. I 1950. ტ. VIII. 1964 (შემდეგ: ქეგლ);

ჩხეიძე, ო . (1999). თეორი დათვი. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“.

ჩხეიძე, ო. (2001). ბერმუდის სამკუთხედი. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“.